



მთავარი ეკონომიკა მიზნისი ბანკები და ფინანსები მსოფლიო ეკონომიკა ინფრასტრუქტურა საზოგადოება, პოლიტიკა კომერსანტ-რეპორტიორი ელექტრონული ვაჭრობა დეკლარაცია ძველი საიტი

წმენა / გახადე სასტარტო / კონტაქტი

მთავარი დღეს



2011-05-20 13:54:34

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერს“ მომხმარებელთა უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ
„ცივილიზებულ ქვეყნებში სარეაბილიტაციო სამუშაოებს დილით არ ატარებენ“
commersant.ge

თბილისში სასმელი წყლის მიწოდება ისევ პრობლემად რჩება. ამ დროისათვის წყალი დიღმის მასივს საერთოდ არ მიეწოდება, დიდუბეში კი მიწოდება დაბალი წნევით ხდება.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერსი“ განმარტავენ, რომ შეფერხება აღმასრულებლის ხეივანში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოების გამო გამოწვეული. მათი თქმით, იმისთვის, რომ კომპანიამ წყალსადენის სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები ჩაატაროს, მოსახლეობისათვის წყლის მიწოდების გარკვეული დროით შეწყვეტა აუცილებელია. კომპანიაში აცხადებენ, რომ მიმდინარე წელს წყალსადენის სარეაბილიტაციო სამუშაოები 50-ზე მეტ ქუჩას ჩაუტარდება.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ არაგვის ხეობაში განთავსებულ სათავე ნაგებობაში შექმნილი პრობლემების გამო სასმელი წყლის მიწოდება თითქმის მთელ თბილისს შეუწყდა.

არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის განცხადებით, არსებობს მომხმარებლის უფლებები, ამ შემთხვევაში წყალზე ხელმისაწვდომობის უფლება, რომელსაც „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ უხეზად არღვევს. მისი თქმით, კომპანიამ სარეაბილიტაციო და პროფილაქტიკური სამუშაოები უნდა განახორციელოს, მაგრამ მათი შესრულების დრო მოსახლეობის ინტერესებს უნდა მთავროს, ანუ ისეთი საათები შეარჩიოს, როცა წყლის მოხმარება ნაკლებია, მაგალითად ღამის ან შუადღის საათები და არა დილა, როცა ადამიანს

წყალი ყველაზე მეტად სჭირდება. ასე ხდება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში. მით უმეტეს, როცა კომპანია მოსახლეობას თანამშრომლობას თხოვს, ეს თანამშრომლობა ორმხრივი უნდა იყოს.

ნინო გუჯარაიძის განმარტებით, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“ აქტიური პიარ-კამპანიით მოუწოდებს მოსახლეობას წყლის მრიგებელები დააყენოს, წყლის მოხმარება შეზღუდოს, რომელიც მომხმარებლის ვალდებულებაში არანაირად არ შედის. ამიტომ კომპანია ვალდებულია თვითონაც გაუწიოს მომხმარებელს ანგარიში მით უმეტეს, რომ ამ რამდენიმე თვის წინ წყლის ტარიფი გაზარდა.

შეგახსენებთ: „სემეკის“ გადაწყვეტილებით, გასული წლის 1 დეკემბრიდან დედაქალაქის მოსახლეობას წყლის ტარიფი 75 თეთრით გაუმჯობესდა. მოსახლეობა, რომელსაც წყალი 24 საათიანი გრაფიკით მიეწოდება, 2,40 ლარის ნაცვლად 3,15 ლარს იხდის.

Like 3 Tweet 0

1




Add a comment...

Post to Facebook

Posting as Natalia Ksovreli (Change)

Comment

Facebook social plugin



კვირის სტუმარი

